# მინდობილობა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაათი მარტი.

**შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 14/06/2021წ., საიდენტიფიკაციო N 445601126, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, სულიკო ჟღენტის ქუჩა, N6) **დირექტორი, ბატონი გოჩა კამკია** (დაბადებული 20.03.1986წ., მცხოვრები ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. N 93/34, ბინა 75, პირადი №62004011889) ვანიჭებ **ბატონ ლაშა მელიქაძეს**, დაბადებული 01.10.1980წ., პირადი №61003003787 და/ან **ბატონ ვლადიმირ ვექილიანს**, დაბადებული 19.02.1984წ., პირადი №07001012217, შემდეგ უფლებამოსილებას:

**წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები, და განახორციელოს დირექტორის ყველა ის უფლებამოსილება რაც განსაზღვრულია ამ საზოგადოების წესდებით და რაც დაკავშირებული იქნება, შემდეგი უფლებების განსახორციელებლად:**

**ხელი მოაწეროს** ნებისმიერ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, ან/და ცვლილებების დოკუმენტს, განახორციელოს მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და შეასრულოს ქონების გაყიდვასთან ან/და სხვა პირებზე გადაცემასთან დაკავშირებული ყველა მოქმედებები, მათ შორის: მყიდველისათვის ქონების გადაცემა საკუთრებაში ან მომავალ საკუთრებაში, ნასყიდობის ფასის განსაზღვრა, მიღება (ნაღდი და/ან უნაღდო ანგარიშსწორებით), ხელშეკრულების სხვა პირობების დამოუკიდებლად განსაზღვრა. შესაბამისად მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობი წარმოადგინოს ყველა შესაბამის უწყებაში და მიმნდობის სახელით ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს, წარადგინოს ნებისმიერი სახის განცხადებები, აღმოფხვრას ხარვეზები (მათ შორის ტექნიკური ხასიათის ხარვეზები), განახორციელოს შესაბამისი გადახდები.

**კომპანიის სახელით გაყიდოს/გაასხვისოს საზოგადოების კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება, მოახდინოს საზოგადოების კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონების საზოგადოების ან შვილობილი კომპანიის კაპიტალში შეტანა,** დააზუსტოს, გააერთიანოს, გაყოს, გამოყოს ან სხვაგვარად განსაზღვროს მიწის ნაკვეთების და სხვა უძრავი ქონებების ფართები, გააერთიანოს უძრავი ქონების ფართები, შეცვალოს მიწის მიზნობრივი დანიშნულება, შეცვალოს საკადასტრო კოდები, განსაზღვროს უძრავი ქონების მისამართები.

**განახორციელოს მშენებარე პროექტის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია,** მოახდინოს განშლა, ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება, დადოს აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერი კანონით ნებადართული გარიგება/ხელშეკრულება. ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები.

შეათანხმოს ნებისმიერი ფუნქციური დანიშნულების სამშენებლო- საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან, მოამზადოს შეიტანოს/გამოიტანოს სამშენებლო პროექტი, შეიტანოს ცვლილებები პროექტში, და შეათანხმოს იგი, მიღოს მშენებლობის ნებართვა. შემდგომში ასევე მოახდინოს ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია. შეათანხმოს პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე (ან სხვა ნებისმიერი ტიპის) კლასს მიკუთვნებულ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, აწარმოოს საპროექტო სამუშაოები, უზრუნველყოს შენობის დასრულება, აწარმოოს ახალ მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული საქმეები. უზრუნველყოს ერთიანი გენერალური გეგმის/დეტალური გეგმის პროექტის დამუშავება და განხორციელება. გააკეთოს შესაბამისი განცხადებები და განაცხადოს სათანადო თანხმობები, რაც დაკავშირებულია სამშენებლო პროექტის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებისთვის, ასევე გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი და ჩააბაროს დოკუმენტაცია ხელახლა, აღნიშნულთან დაკავშირებით შეაგროვოს და აიღოს, ჩააბაროს და გამოითხოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია, ცნობები, ნებართვები და სხვა ნებისმიერი დოკუმენტაცია.

**ამ მინდობილობის ფარგლებში, მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, კომერციულ და საჯარო დაწესებულებებს, საგადასახადო ორგანოებს, თანამდებობის პირებს, სანოტარო ბიუროს, საჯარო რეესტრს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სხვა ნებისმიერ საექსპერტო დაწესებულებას.**

**მიაწოდოს და მიიღოს დოკუმენტები, ცნობები, ნებართვები, ამონაწერები და მოაწეროს ხელი კომპანიის სახელით შესაბამის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს, განცხადებებს, კორესპონდენციებს, მიღება-ჩაბარების აქტებს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს.**

საზოგადოების სახელით იმოქმედოს, როგორც საზოგადოების წარმომადგენელმა ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში და ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

**მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელონ როგორც ერთობლივად, ასევე დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად.**

**მინდობილობა ძალაშია 2026 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, მესამე პირებზე შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.**

საზოგადოების დირექტორი:

გოჩა კამკია------------------------------------------------------------------------

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | **N260399796** |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | **30.03.2026 წ** |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **ნათია ფაღავა** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ბათუმი, რუსთაველის ქ. N13** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | **+995 0422 27 00 13** |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | **03621159595026** |

საქართველო
ქალაქი ბათუმი
სანოტარო აქტი
ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაათ მარტს, მე, ნოტარიუს ნათია ფაღავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქალაქი ბათუმი, რუსთაველის ქუჩა N13, მომმართა ბატონმა გოჩა კამკიამ. მან წარმოადგინა მინდობილობა და მოითხოვა მასზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბატონმა გოჩა კამკიამ, დაბადებული 20.03.1986წ., მცხოვრები ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. N 93/34, ბინა 75, პირადი №62004011889, მომმართა.
მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მას, რომ წარმოდგენილი მინდობილობის შინაარსზე ნოტარიუსი პასუხს არ აგებს და წინამდებარე სანოტარო აქტით დასტურდება მხოლოდ ის, რომ მინდობილობას ზემოთ აღნიშნულმა პირმა მოაწერა ხელი, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვამოწმებ.
დოკუმენტი წარმოდგენილია ერთ გვერდზე
დამოწმებულია სამი ხელმოწერა მინდობილობის სამ ეგზემპლარზე.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 18,0 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ., №507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა 3,24 ლარი, აგრეთვე 5,0 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა, სულ 26,24 ლარი

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი ______________________ ნათია ფაღავა

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18